

Miranda Tkeshelashvili

მირანდა ტყეშელაშვილი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Shalva Karmeli - the Youngest Member of the "Blue Horns"

„სხვა უდაბნოა საქართველო და ქუთაისი“.

შალვა კარმელი – ყველაზე უმცროსი „ცისფერყანწელი“

Shalva Gogiashvili, under the creative pseudonym Shalva Karmeli, was the youngest member of the Poetic Order of the Blue Hornes and the first to die. The report discusses kutisi period of the poet's creative, the poems dedicated to his hometown, and the attitude of the senior members of the Order of the Blue Hornes towards Karmeli and his poetry.

Key words: Blue Horns“, Shalva Karmeli, Kutaisi

საკვანძო სიტყვები: „ცისფერი ყანწები“, შალვა კარმელი, ქუთაისი

როდესაც ქუთაისში, პოეტური თილისმით მოჯადოებულმა ახალგაზრდა კაცმა – შალვა გოგიაშვილმა, როგორც თავად წერდა, „ცრუ სახელად“ კარმელი აირჩია, კარმელიტების ბერად გარდასახვაც დაიწყო და საკუთარი პერსონის ქუთაისთან პოეტური იდენტიფიკაციაც სცადა. უდაბნოს სიმბოლიკა შალვა კარმელის პოეტურ წარმოსახვას იმდენად მძაფრად მსჭვალავდა, რომ გამორჩეულ სულიერ გასხივოსნებას ანიჭებდა როგორც მის სულიერ სამყაროს, ასევე იმ რეალურ ყოფას, რომელშიც ჭაბუკ პოეტს უხდებოდა ცხოვრება. ოცი წლის ასაკში უდაბნოს მწირის მოკრძალებული აჩრდილის პოზით იდგა მშობლიურ ქალაქში და თავისი ყანწელი მეგობრებისგან განსხვავებით, ქუთაისს მართლ „დანგრეულ ბრიუგედ“ კი არა, ნამდვილ უდაბნოდაც აღიქვამდა, სადაც უკანასკნელი კარმელიტი ბერის განცდით ატარებდა ხანმოკლე სიცოცხლის ყველაზე მშფოთვარე დღეებს.

ქუთაისი ჭაბუკი კარმელისთვის წმინდა უდაბნო იყო, სადაც პოეზია მონასტერივით წამომართულიყო და პოეტი ამ მონასტერს შეხიზვნოდა. „ახ, ალბათ ვინმეს ვეგონები უდაბნოს მწირი, სხვა უდაბნოა საქართველო და ქუთაისი“ – წერდა 1920 წელს დაწერილ ლექსში – „ავტოპორტრეტი პროფილში“. ამავე ლექსში ის თამამად ირგებდა ავანგარდისტი პოეტის როლს, რომელმაც პირველმა გამართა რითმა ქართულ ლექსში. 1921 წელს გამოცემული წიგნის პირველივე ლექსშიც სწორედ ამაზე მიუთითებდა: „ვიცი უთუოდ საამაყო მაქვს რეფლექსებში, პირველად რითმა რომ გავმართე ქართულ ლექსებში“. ეს გამორჩეული როლი მას, სიმბოლისტთა ორდენის სხვა წევრებთან ერთად, მართლაც ერგო და ქართულ მწერლობაში პოეტური ეპიგონობის მანამდე ფეხმოკიდებული სენი დაამარცხებინა. იქნებ, როგორც მისი ერთი კრიტიკოსი ამბობს, სიმბოლისტთა პოეზიას ზოგადად და კონკრეტულად შალვა კარმელის განცხადებებს „პატივმოყვარეობისა და უსაზღვრო

ამბიციების ზარზე იმიც ახლდა თან, მაგრამ პოეტურ აზროვნებაში ახლის შემოტანის პროცესისთვის ეს აუცილებელი რიტუალური სამკაული იყო (ბენაშვილი, 2000, გვ. 5).

21 წლის პოეტის პირველი კრებული – „ბაბილონი“ – მაშინ გამოვიდა, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს დასამხობად მოდიოდა მტერი, რომელსაც პირველ რიგში თავისუფალი სიტყვა უნდა დაესამარებინა. 24 წლის ასაკში დაღუპული შალვა კარმელის უსაზღვროდ თავისუფალ აზროვნებას რამდენად მოერეოდა მისი იდეოლოგიური მახვილი, რამდენად მოაქცევდა მის „ნაპირებგადალახულ“ ლექსებს კონფორმიზმის არტახებში, ძნელი სათქმელია.

კარმელის პირველი ლექსი 1915 წელს გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა. მას „რიონი“ ერქვა. ამ დროს პოეტი ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა, მხოლოდ 1920 წელს დაასრულა იგი და თბილისის უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა. 1921 წელს გამოსულ წიგნში შესული ლექსების უმრავლესობა სწორედ მშობლიური ქალაქის უსაზღვრო პოეტურმა ბუნებამ უკარნახა და საოცარი მხატვრული მედიტაციებით გამოარჩია მისი მხატვრული მეტყველება, მოგვცა ბიბლიური პასაჟებითა თუ ისტორიული ეპოქების მდინარებით გამოწვეული პესიმისტური განცდით გაჟღერებული სიმბოლისტური ხედვები. ქუთაისი ამ ხედვებში ყველგან ილანდება, პირდაპირი სახელით, შეფარულად თუ იმ ისტორიულ-კულტურული კონტექსტით, რომელიც ამ უძველესი ქალაქის სულს განასახიერებს. ჭაბუკი პოეტისთვის ქუთაისის სახეში სიმბოლისტთა პოეტური ორდენის მიერ ფლანდრიის ოდესღაც დიდებული ქალაქის – ბრიუგეს წარმოსახვა „მკვდარი ბრიუგეს“ სახით ბუნებრივი გახდა, ხოლო, ამავე სახელწოდების სიმბოლისტური რომანის ავტორის, ბელგიელი მწერლის ჟორჟ როდენბახის ჩვენება, მის მიერ მშობლიური ქალაქის „დაღამებულ ოცნებათა“ სიმბოლოდ იქნა აღქმული. მისი მხატვრული მეტაფორები და შედარებები ამ ქალაქს კიდევ უფრო მეტ იდუმალებას ანიჭებდა, უფრო მეტად აღბეჭდავდა საბედისწერო ნიშნით, ვიდრე ეს ქუთაისის ისტორიულად ჰქონდა. მკვდარ ქალაქში სასიკვდილო სენით ავადმყოფი ახალგაზრდის მძიმე განწყობილებას გადმოსცემს მისი ლექსის სტრიქონები:

„მკვდარო ქალაქო, გაიღვიძე, მოვიდნენ მტრები,
და მოახლოვდა შებრძოლება, სითეთრე დილის,
დაუტირებლად შენ ცოფიან გრიგალში ქრები
როს ყველა ცრემლი დავუტოვე საყვარელ ტფილისს.
თავზე გვეცემა ძველ ღმერთებით ცა შერყეული,
უნდა გავექცე ამ ქვეყანას საგველემპოსს,
მშობელო მიწავ, ორივენი ვართ ჩვენ წყეული
და ვერ ავცდებით დამარცხებას, სიკვდილს, ეშაფოტს“
(„მკვდარი ბრიუგე“, კარმელი, 2000, გვ. 64).

მისი და მშობელი ქვეყნის ეს ბრძოლა, მართლაც მიდიოდა დასასრულისკენ, დამარცხებისა და ეშაფოტისკენ, რასაც პოეტი ამ სტრიქონებით წინასწარმეტყველებდა. ისედაც ურთულესი იყო და რაღაცნაირად დაწყვეტილი პოეტის ყოფა. მას ტუბერკულოზისგან წართმეული საკუთარი დების კუბოები ჰქონდა გატანილი და, როგორც კოლაუ ნადირაძე იგონებდა, ამ ამბავს ყოველთვის ცრემლიანი უყვებოდა მეგობრებს. როდესაც მგრძნობიარე ლექსების პირველი რვეული მიუტანა უკვე აღიარებულ პოეტებს, სიტყვაც არ უთქვამს, ისე დაელოდა მათ განაჩენს. ქუთაისელი პარნასელი პოეტები იმთავითვე მოიხიბლენ თითქმის ბავშვი მგოსნის ნაწერებით. მის მორიდებულ საუბარში და ლექსების კითხვისას გაჟღერებულ საამო მუსიკალურ ხმაში დაინახეს, რა თავშეკავებულ მღელვარებას იტევდა და რა პოეტურ სივრცეებს ფლობდა ეს ახალგაზრდა. ქუთაისის ქუჩებში ხშირად ხედავდნენ ერთად მოსიარულე კარმელს, სანდრო ცირეკიძესა და სერგო კლდიაშვილს. კარმელი ხშირად სტუმრობა ქუთაისში პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილისა და კოლაუ ნადირაძის ოჯახებს, ხშირად კითხულობდა უფროსი მეგობრების წინაშე ახალ პოეტურ ტექსტებს. ისინიც ეფერებოდნენ, აქებდნენ, მომავლის იმედებს აძლევდნენ, უყვარდათ მისი საოცარი მუსიკა-

ლური ხმის ტონალობა ლექსების კითხვისას, ყოველგვარი ბანალურისგან გაცლილი და საოცარი სინატიფითა და კულტურით აღბეჭდილი მისი სტრიქონები. თითქოს წინასწარ შეთქმულნი, თხოვდნენ პოეტს ლექსების განმეორებით წაკითხვას. ეს კი საოცარ სტიმულსა და იმედს აძლევდა სასიკვდილო სენით დაავადებულ ახალგაზრდა კაცს.

ქუთაისელი პოეტური სამშოს რაინდები ბოჰემური ცხოვრებით ცხოვრობდნენ, სვამდნენ, ტივებით სეირნობდნენ, ძველი სადარბაზოების ხშირი სტუმრებიც იყვნენ. ამგვარი ბოჰემური ცხოვრების სრულად აყოლა ავადმყოფ კარმელს არ შეეძლო, მაგრამ მაინც ცდილობდა მეგობრებისთვის ხასიათის გასწორებას. სპეციალური პატარა ყანწებიც დაუმზადებიათ მისთვის და მასავით ავადმყოფ სანდრო ცირეკიძისთვის, რომლებსაც ერთად ხშირად შეუსვამთ სადღეგრძელოები კოლაუ ნადირაძის სახლში დაწერილი ღვინით.

ყანწელებს შორის განსაკუთრებული მამობრივი ზრუნვით კარმელს პაოლო იაშვილი ექცეოდა. მას პირდაპირი დავალება ჰქონდა მიცემული რაჟდენ გვეტაძისა და ივანე ყიფიანისათვის ეზრუნათ არა მარტო ჭაბუკის ჯანმრთელობაზე, მისთვის მეგობრული რჩევა-დარიგება მიეცათ პოეტური ოსტატობის შესახებ. კოლაუ ნადირაძე იგონებდა: „ჩვენი, ცისფერყანწელთა ქუთაისის პერიოდი განუყრელად დაკავშირებული იყო შალვა კარმელთან. არა ერთი და ორი ღამე გაუთევია მას ჩვენთან ერთად ქუთაისის მყუდრო და ღრმა სადარბაზოებში... რამდენადაც მახსოვს, სწორედ იქ წაგვიკითხა თავისი მშვენიერი ლექსი, რომელმაც ყველანი გაგვახარა. ლექსი, სადაც ასეთი დაუვიწყარი სტრიქონებია:

„გადმოკიდულა ციდან სემირამიდას ბაღი,
გულია ერთი ციდა და მთისოდენა დაღი“...
(„სემირამიდას ბაღი“, კარმელი, 2000, გვ. 36).

კარმელის უკეთილშობილესი სული ებრძოდა ბოროტების სამეფოებს, იმას, რაც არა მარტო ქვეყნებს, ადამიანთა ღამაზე ოცნებებით ნაგებ სამყაროსაც ანგრევდა, სწორედ ამ ნგრევის სიმბოლო იყო მისთვის ბიბლიური ბაბილონი – „მრუში ქალაქი“, რომელსაც მკვდარი ხალხების პირამიდას ეძახდა: „ჩემში წარსული მოტრიალდა, ასე მგონია, რომ ეს ქვეყანა დასანგრევი ბაბილონია“. შალვა კარმელი შვილობილად მიიღეს „ცისფერი ყანწების“ ორდენის კავალრებმა. მისი გამორჩეული ნიჭიც დაინახეს და ის ავანგარდიზმიც, რომელსაც მისი შემოქმედება ქართულ ლიტერატურაში ორიგინალობითა და მხატვრული აზროვნების სიღრმით უნდა გამოერჩია. ორდენის მაგისტრი – გრიგოლ რობაქიძე, მას უდროოდ დაღუპული შვილის გვერდით მოიხსენიებდა და ახლად გარდაცვლილ მეგობარ პოეტს – ოვანეს თუმანიანს იმქვეყნად მის მფარველობას ავალებდა.

„ვიცი, იქნები საფლავის ხნულთან
გულდათუთქული, ჩვილთა მფარველი,
ოვანეს, ტკბილო, მიიკარ გულთან
ჩემი ალკა და შალვა კარმელი“.

(*** „ოვანეს ტკბილო“

<https://www.aura.ge/101-poezia/12542-grigol-robaqidze--ovanes-tumanian.html>)

სიმბოლისტების ლიტერატურული მოწინააღმდეგენიც არ შეხებიან კრიტიკულად ყრმა კარმელის პოეზიას, იმდენ ღირსებასა და მოწიწებას ასხივებდა ეს ჭლექთან ერთად პოეზიით დაავადებული ბავშვი. თუ ახალი თაობის მოწინააღმდეგეთა ჯგუფის ლიდერი მარუთა შუამდინარელი (იოსებ გრიშაშვილი) რობაქიძეს „ლექსის მწამებელს“ უწოდებდა, რუსეთის შეგირდსა და გაკეთებული ნიჭის პატრონს არქმევდა შესანიშნავ სიმბოლისტ პოეტს – ვალერიან გაფრინდაშვილს, „პოეზიის პარალიზს“ ეძახდა ტიცინ ტაბიძეს, მთლიანად ყანწელთა ლიტერატურას კი „ყიზილბაშური საქციელის“ გამოვლენად მიიჩნევდა (გაზ. სახალხო საქმე, 1920, 4), ფაქიზად უვლიდა გვერდს

კარმელის პოეზიას, რომელიც მცირე დროში გახმაურდა და წიგნადაც გამოვიდა. პოეტური ორდენის სამმო კი კარმელის ნიჭსა და შესაძლებლობებს პატივისცემითა და გამორჩეული სიყვარულით აფასებდა. ყველას ხიბლავდა მისი ვერსიფიკაციული ოსტატობა, მასთან შეხვედრული ორიგინალური სათმელის მოძიების უნარი და ის მეტაფორული ლაჟვარდები, რაც კარმელის ლექსებს ახასიათებდა:

„შერჩეულ სხეულს ეს ჯავშანი მწყობრად არგია,
ქარვის მეფის ქალს მამობილა ცრემლებს თქორმა,
მწველ სიმღერებში რაც პოეტურ სულის თარგია –
ყველა საცქერად აიტაცა ლაჟვარდში ქორმა“.

(„სიყვარული სონეტს“, კარმელი 2000, გვ. 16)

„მას, როგორც მთვარეულს, იტაცებდა რითმა და ლექსის გამართულობით ის ყოველთვის საკვირველი იყო“, – წერდა პაოლო იაშვილი (იაშვილი, 2000, გვ.112). „მისი სპეტაკი სული და უცოდველი ყრმის ცხოვრება სამუდამო მოგონებაა პოეზიის სიწმინდის“... – ამბობდა მასზე ტიცინ ტაბიძე (ტაბიძე, 200, გვ. 114). ვალერიან გაფრინდაშვილი „რითმის კავალერს“ უწოდებდა და ქართულ პოეზიაში მის შესაძლო მასშტაბზეც თამამად მიუთითებდა: „იყო ნიშნები, რომ ის გახდებოდა ქართული პოეზიის თეოდორ დებანვილი, რომელსაც განსაკუთრებით უყვარდა რითმა და ამავე დროს ჭეშმარიტ პოეტად ითვლებოდა“ (გაფრინდაშვილი, 2000, გვ. 115-116). დიახ, პარნასელი ფრანგი პოეტის მსგავსად, შალვა კარმელის პოეზიას ჰქონდა ის ფარული ისტორიული და მითოლოგიური შრეები, რაც დებანვილის შემთხვევაში პირველივე პოეტურმა კრებულმა – „კარიატიდებმა“ აჩვენა. ამის შემდეგ მან 12 პოეტური კრებული გამოსცა, შალვა კარმელს კი ერთადერთი, 1921 წელს გამოცემული „ბაბილონი“ დარჩა, სხვა ლექსები კი ისე გაიფანტა, სრულად მათი აღდგენაც ვეღარ მოხერხდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბენაშვილი, გ. (2000). „ცისფერყანწელის ამაყი და კეთილშობილი სილუეტი“, წიგნში: შალვა კარმელი, ბაბილონი, თბილისი.
- გაფრინდაშვილი, ვ. (2000), „შალვა კარმელი“, წიგნში: შალვა კარმელი, ბაბილონი, თბილისი.
- იაშვილი, პ. (2000). „კარმელი მართალი“, წიგნში: შალვა კარმელი, ბაბილონი, თბილისი.
- ტაბიძე, ტ. (2000), „შალვა კარმელი“, წიგნში: შალვა კარმელი, ბაბილონი, თბილისი.
- კარმელი, შ. (2000). ბაბილონი, თბილისი.
- მარუთა შუამდინარელი. (1920). გაზ. „სახალხო საქმე“, 4.

References:

- Benashvili, G. (2000). „Tsisperq'ants'elis amaq'i da k'etilshobili siluet'i“. Ts'ignshi: Shalva K'armeli. [„The Proud and Noble Silhouette of the „Blue Horns“ Member“. In: Shalva Karmeli. Babiloni]. Tbilisi.
- Gaprindashvili, V. (2000), „Shalva K'armeli“. Ts'ignshi: Shalva K'armeli. Babiloni. [“Shalva Karmeli”. In: Shalva Karmeli, Babiloni]. Tbilisi.
- Iashvili, P'. (2000). „K'armeli martali“. Ts'ignshi: Shalva K'armeli. Babiloni. [“Carmel the Righteous”. In: Shalva Karmeli, Babiloni]. Tbilisi
- T'abidze, T'. (2000), „Shalva K'armeli“. Ts'ignshi: „Shalva Karmeli“. Babiloni. [“Shalva Karmeli”, in: Shalva Karmeli, Babiloni]. Tbilisi.
- K'armeli, Sh. (2000). Babiloni. [Babiloni]. Tbilisi.
- Maruta Shuamdinareli. (1920). Gaz. „sakhalkho sakme“, 4. [Newspaper. "Public Affairs"]. 4.